



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/135

ქ. თბილისი

20 აგვისტო 2021წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის

და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებებში ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

I. შევიდეს ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებულ სტუ-ის დოქტორანტურის დებულებაში და მე-7 მუხლის მე-12 პუნქტი, მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი, მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-17 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“7.12. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში უნდა წარადგინოს:

- განცხადება სტუ-ის რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით (2 ეგზ.);
- მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV) (2 ეგზ.);
- რეფერატი დოქტორანტურაში შესასრულებელი კვლევის მიმართულების

შესახებ;

- სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი (აკადემიური ცნობა) და მათი ასლები (2-2 ეგზ.);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი (2 ეგზ.);
- ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ), აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტდისკზე (CD);
- მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულებისათვის) და მისი ასლი (2 ეგზ.).“

„9.7. სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებით მიმართოს რექტორს. დეკანის მიერ შექმნილი კომისია განიხილავს და აფასებს დოქტორანტის სადისერტაციო თემის აქტუალურობასა და მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებას. განხილვის შედეგად კომისიამ შეიძლება განსაზღვროს დამატებით დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა და შესასრულებელი კვლევის მოცულობა. შესაბამისად, განისაზღვრება დისერტაციის დასაცავად წარდგენის ბოლო ვადა. თუ კომისია დაადგენს, რომ პროგრამის გეგმური ვადის ამოწურვამდე დარჩენილ დროში და ორ დამატებით სემესტრში დოქტორანტი ვერ მოასწრებს პროგრამის დასრულებას, დოქტორანტმა შეიძლება შეიცვალოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად.“

„10.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“.

„10.2. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.“

„12.2. დასრულებული დისერტაცია გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს განსახილველად, როგორც წესი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ორი და არაუმეტეს სამი თვით ადრე;“

„17.1. მობილობის უფლება დოქტორანტს წარმოეშობა სწავლების ერთი წლის შემდეგ. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა). მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.“

„17.5. სადოქტორო პროგრამების შესაბამისობას, მობილობის მსურველის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას არჩეულ

სადოქტორო პროგრამასთან და შესაბამისი კრედიტების რაოდენობას, აგრეთვე პროგრამის დასრულების მიზნით ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას და შესასრულებელი კვლევითი სამუშაოს მოცულობას ადგენს საფაკულტეტო კომისია.“

II. შევიდეს ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებულ სტუ-ის დოქტორანტურის დებულების პირველ დანართში და იკითხებოდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 1).

III. შევიდეს ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებულ სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მესამე დანართში და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი, მე-2, მე-4 და მე-6 ქვეპუნქტები, მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტი, მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2.1.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მიზანია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური დახელოვნება. იგი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.“

„2.1.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი, მათი თანმიმდევრობა და მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება ინდივიდუალურად, ყოველი სადოქტორო პროგრამისათვის.“

„2.1.4. შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის პროგრამით (სილაბუსით) და ხელმისაწვდომია დოქტორანტურის სტუდენტისათვის.“

„2.1.6. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის პროგრამით (სილაბუსით) გათვალისწინებული საკითხების ათვისება (სწავლის შედეგების მიღწევა) ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შუალედურ შეფასებაში არანაკლებ 30 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი მიიღებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებას. სასწავლო კურსი დოქტორანტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის (მინიმალური 21 ქულა) შედეგად იგი დააგროვებს არანაკლებ 51 ქულას.“

„3.1. კვლევითი კომპონენტის მიზანი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია, კვლევის თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრები.“

„3.2. კვლევითი კომპონენტის ელემენტები/ეტაპები

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტები/ეტაპებია:

- პროექტი/პროსპექტუსი;
- კოლოკვიუმი 1;
- კოლოკვიუმი 2;
- კოლოკვიუმი 3;
- დისერტაციის წინასწარი დაცვა;
- დისერტაციის დასრულება და დაცვა.

გამონაკლის შემთხვევაში, სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დადგინდეს კვლევითი კომპონენტების მითითებულისგან განსხვავებული

შემადგენლობა. ყოველი სამეცნიერო კომპონენტის ეტაპი წარმოადგენს შემდეგი ეტაპის სავალდებულო წინაპირობას.“

„3.4.8. როგორც წესი, სწავლების მეორე სემესტრის ბოლოს დოქტორანტი კვლევის პროექტს/პროსპექტს წარადგენს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე. სხდომის ოქმის (რეკომენდაციებით) ამონაწერი და წარდგენის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ელექტრონულ მატარებელზე (CD ან DVD) ინახება დოქტორანტის პირად საქმეში. დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში დოქტორანტი აგრძელებს კვლევას.“

„3.6.1. დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა, როგორც წესი, სწავლების მე-6 სემესტრის მერვე/მეცხრე კვირაში აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა.“

„3.7.2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მუშაობას. სტუდენტს, რომელიც ვერ მოასწრებს შეფასებაზე გასვლას მიმდინარე სემესტრის სესიების ვადებში, ჩაბარების უფლება მიეცემა მომდევნო სემესტრში, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს გამოცდების დამთავრებამდე.“

IV. შევიდეს ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებულ სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მესამე დანართში და მისი პირველი დანართი ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 2).

V. შევიდეს ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებულ სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მესამე დანართში და მე-3 მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი სახით:


„3.3. სამეცნიერო კომპონენტის ბოლო ეტაპის გავლა დასაშვებია დოქტორანტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის არანაკლებ 3 წლის შემდეგ.“

VI. შევიდეს ცვლილება 2017 წლის 27 თებერვლის №2324 დადგენილებით დამტკიცებულ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში და გაუქმდეს მე-7 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები, აგრეთვე პირველი დანართი.

VII. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი



დ. გურგენიძე

ი. კუტუბიძე

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი

ეტაპები	სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი

კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებები
(ჩამოთვალეთ დაგეგმილი ექსპერიმენტის/ღონისძიებების ძირითადი ეტაპები)

--

კვლევითი კომპონენტის შესრულების ადგილი
(ჩამოთვალეთ ყველა ის ორგანიზაცია, სადაც არის დაგეგმილი კვლევითი კომპონენტის შესრულება)

--

კვლევითი კომპონენტის შესრულებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მისი სრულყოფის გზები

<input type="checkbox"/> არსებობს სრულყოფილად	
<input type="checkbox"/> არსებობს ნაწილობრივ და შეივსება სადისერტაციო ნაშრომის დამუშავების პროცესში	
<input type="checkbox"/> ჯერ არ არსებობს, მაგრამ შეივსება სადისერტაციო ნაშრომის დამუშავების პროცესში	

ინფორმაცია თემის ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელებზე:

გვარი: სახელი:

აკადემიური ხარისხი:

აკადემიური თანამდებობა:

სამუშაო ადგილი:

საკონტაქტო მისამართი:

ტელეფონი:

ელ-ფოსტა:

დაცული დისერტაციები

ა) თემის ხელმძღვანელის მიერ დაცული დისერტაციები (მიუთითეთ სათაური, დაცვის ადგილი და თარიღი)

ბ) მისი ხელმძღვანელობით დოქტორანტების/ასპირანტების/მაძიებლების მიერ დაცული დისერტაციები (მიუთითეთ სათაური, დაცვის ადგილი და თარიღი)

სადოქტორო პროგრამის თემატიკასთან დაკავშირებული უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები (თან უნდა დაერთოს დედნები)

სადოქტორო პროგრამის თემატიკით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა (თან უნდა დაერთოს დედნები)

სადისერტაციო თემის აქტუალურობა (არა უმეტეს ორი გვერდისა, შრიფტის ზომა 11):

სადისერტაციო თემის სიახლე (არა უმეტეს ორი გვერდისა, შრიფტის ზომა 11):

სადისერტაციო თემის
ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელები

ხელმოწერა

თარიღი

დანართი 2
დოქტორანტურის საგანმანათლებლო
პროგრამების სასწავლო და კვლევითი
კომპონენტები და მათი შეფასების
წესის დანართი 1

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 15 ქულა.
სკალირებული ქულა=3,75 x M)

4 ქულა	სადისერტაციო თემა აქტუალურია და დარგის განვითარებაზეა ორიენტირებული.
3 ქულა	სადისერტაციო თემა აქტუალურია და ნაკლებად არის ორიენტირებული დარგის განვითარებაზე.
2 ქულა	სადისერტაციო თემის აქტუალურია გამომდინარეობს დარგის განვითარების პოტენციური შესაძლებლობიდან.
1 ქულა	სადისერტაციო თემა მომველებულია და ნაკლებად აქტუალური.
0 ქულა	სადისერტაციო თემა არ არის აქტუალური. შესაბამისად, ვერავითარ წვლილს ვერ შეიტანს დარგის განვითარებაში.

2. სადისერტაციო ნაშრომის სიახლე – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 18 ქულა.
სკალირებული ქულა=4,5 x M)

4 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს მეცნიერული სიახლე, რაც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თვალსაჩინოა დოქტორანტის წვლილი პრობლემის კვლევაში
3 ქულა	სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს მეცნიერულ სიახლეს, მაგრამ ჩამოყალიბებულია არამკაფიოდ, დოქტორანტი კარგად აყალიბებს თავის წვლილს პრობლემის კვლევაში.

2 ქულა	სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს მეცნიერულ სიახლეს, მაგრამ ჩამოყალიბებულია არადამაჯერებლად, დოქტორანტს უჭირს პრობლემის კვლევაში თავისი წვლილის ჩამოყალიბება
1 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში მითითებული სიახლე არ დასტურდება წარმოდგენილი კვლევის შედეგებით, დოქტორანტი ვერ აყალიბებს თავის წვლილს პრობლემის კვლევაში.
0 ქულა	სადისერტაციო ნაშრომი არ შეიცავს არავითარ სიახლეს.

3. შერჩეული თემის თეორიული/პრაქტიკული ღირებულებები – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 18 ქულა. სკალირებული ქულა=4,5 x M)

4 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს მნიშვნელოვანი თეორიული/პრაქტიკული ღირებულება
3 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი თეორიული/პრაქტიკული ღირებულება
2 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს ნაკლებ მნიშვნელოვანი თეორიული/პრაქტიკული ღირებულება
1 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს აქვს უმნიშვნელო თეორიული/პრაქტიკული ღირებულება
0 ქულა	სადისერტაციო ნაშრომს არ გააჩნია თეორიული/პრაქტიკული ღირებულება

4. სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემისა და მისი გადაწყვეტის წარმოჩენა – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 25 ქულა. სკალირებული ქულა=6,25 x M)

4 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობა სრულყოფილი და დამაჯერებელია. გამართულადაა გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. დასმული პრობლემის გადაწყვეტა წარმოჩენილია სრულად
3 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობა კარგ დონეზეა. საკმაოდ კარგადაა გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია. დოქტორანტი ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას. დასმული პრობლემის გადაწყვეტა მეტწილად წარმოჩენილია
2 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობა დამაკმაყოფილებელ დონეზეა, თუმცა დასმული პრობლემის გადაწყვეტა წარმოჩენილია არასრულად. პროფესიული ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია

1 ქულა	სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობა მოიცავს ხარვეზებს. პროფესიული ტერმინოლოგია გამოყენებისას აშვებულია შეცდომები. დასმული პრობლემის გადაწყვეტა წარმოჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით.
0 ქულა	მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. დასმული პრობლემა სრულიად არ არის წარმოჩენილი

5. პასუხები დასმულ შეკითხვებზე – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 18 ქულა. სკალირებული ქულა=4,5 x M)

4 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე გამართულია, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით.
3 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე კარგ დონეზეა, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას.
2 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელია, თუმცა არასრულყოფილია.
1 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე არასრული და არადამაჯერებელია.
0 ქულა	პასუხები დასმულ შეკითხვებზე საკითხის შესაბამისი არ არის.

6. ვიზუალური მასალის წარმოჩენა – შეფასება 4 ქულამდე (მაქსიმუმ 6 ქულა. სკალირებული ქულა=1,5 x M)

4 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია სრულყოფილად, გამართულად
3 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია კარგად, საკმაოდ გამართულად
2 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია მცირე ხარვეზებით, მაგრამ დამაკმაყოფილებლად
1 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია მრავალი ხარვეზებით
0 ქულა	ვიზუალური მასალა წარმოჩენილია არადამაკმაყოფილებლად, არაადეკვატურად,